ვერბალური ნაწილი

ანალოგიები

1. **ობიექტური : მიკერძოება**

ა) ფიცხი: გულკეთილობა
ბ) მამაცი : შეუპოვრობა
გ) გულუხვი : სიძუნწე
დ) ნებისმიერი : სიამოვნება

2. **გაპარტახება : დამპყრობელი**

ა) კერვა : ქსოვილი
ბ) ნათება : სანთელი
გ) დნობა : ყინული
დ) კრეფა : ყვავილი

3. **კომპიუტერი : ტვინი**

ა) პილოტი : მფრინავი
ბ) ბინოკლი : სათვალე
გ) გლობუსი : რუკა
დ) რობოტი : მუშა

4. **კონტრაბასი : ორკესტრი**

ა) კომეტა : თანამგზავრი
ბ) ვარსკვლავი : თანავარსკვლავედი
გ) ქურა : გამოცხობა
დ) ღრუბელი : თოვა

5. **რეზონანსი : გამოხმაურება**

ა) რეზერვი : თადარიგი
ბ) ლოგიკა : დასკვნა
გ) ეთილი : ძმარმჟავა
დ) მაკარონი : პური

6. **კედელი : სიმაღლე**

ა) იატაკი : საღებავი
ბ) ქარი : მტვერი
გ) წიგნი : თარო
დ) ხილი : გემო

წინადადებების შევსება

7. კადრების მენეჯერმა გადაწყვიტა ახალი თანამშრომლების მიღება _____ , თუმცა, მანამდე ის _____ ორგანიზაციის დირექტორის აზრს, რომ კადრები _____ უნდა შერჩეულიყო. საინტერესოა, რატომ შეცვალა კადრების მენეჯერმა თავისი პოზიცია და _____ , რომ სამუშაო გამოცდილების გათვალისწინება _____ შეუწყობდა ხელს კადრების სწორად შერჩევას.

(ა) წინასწარი შერჩევის გარეშე / კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა / წინასწარი გასაუბრების საფუძველზე / გადაწყვიტა, მხარი დაეჭირა იდეისთვის / ვერ
(ბ) მხოლოდ მათი სამუშაო გამოცდილების გათვალისწინებით / კატეგორიულად არ ეთანხმებოდა / სწორედ ამ ნიშნით / უარი თქვა იმ მოსაზრებაზე / ვერ
(გ) წინასწარი გასაუბრების გარეშე / სავსებით ეთანხმებოდა / მხოლოდ სამუშაო გამოცდილების გათვალისწინებით / უარი აღარ თქვა იმ მოსაზრებაზე / მნიშვნელოვნად
(დ) მხოლოდ მათი სამუშაო გამოცდილების გათვალისწინებით / სავსებით ეთანხმებოდა / სწორედ ამ ნიშნით / გადაწყვიტა, მხარი დაეჭირა იდეისთვის / მნიშვნელოვნად

8. ჩვენთვის _____ ფუნქციონირების შესახებ, _____ ცნობილი იმის შესახებ, თუ როგორ ფუნქციონირებს _____ . ეს _____ ავხსნათ რთული პროცესები, რომლებიც მიმდინარეობს ნერვულ სისტემაში, და არა თითოეულ ნერვულ უჯრედში.

(ა) ცოტა რამ არის ცნობილი ცალკეული ნერვული უჯრედის / მაგრამ კიდევ უფრო ნაკლებია / მთლიანად ნერვული სისტემა / საშუალებას გვაძლევს
(ბ) ბევრი რამ არის ცნობილი მთლიანად ნერვული სისტემის / მაგრამ ასევე ბევრია / ცალკეული ნერვული უჯრედი / საშუალებას გვაძლევს
(გ) ცოტა რამ არის ცნობილი ცალკეული ნერვული უჯრედის / თუმცა ბევრი რამაა / მთლიანად ნერვული სისტემა / ხელს გვიშლის
(დ) არცთუ ცოტა რამაა ცნობილი ცალკეული ნერვული უჯრედის / მაგრამ მეტად მცირე რამაა / მთლიანად ნერვული სისტემა / ხელს გვიშლის

9. რადგან მრავალ ადამიანს ერთსა და იმავე ბუნებრივ პირობებში _____ ცხოვრება, მათი სულიერი სამყარო _____ გამო ერთმანეთს _____ ინტერესებით საზრდოობს. _____ ცხოვრების ერთად მოწყობის სურვილს _____ .

(ა) არ უხდება / მრავალგვარ შთაბეჭდილებათა / უპირისპირდება, ურთიერთსაწინააღმდეგო / ეს სულიერი არაერთგვაროვნება, ცხადია, / განაპირობებს

(ბ) უხდება / მსგავსი შთაბეჭდილებების / უნათესავდება, მსგავსი / მიუხედავად ამისა, ეს სულიერი ერთიანობა / არ გამორიცხავს

(გ) არ უხდება / არაერთგვაროვან შთაბეჭდილებათა / ხშირად უპირისპირდება, ურთიერთსაწინააღმდეგო / მიუხედავად ამისა, ეს სულიერი განსხვავებულობა / გამორიცხავს

(დ) უხდება / ერთი და იმავე შთაბეჭდილებათა / უნათესავდება, მსგავსი / ეს სულიერი ერთიანობა ხშირად / განაპირობებს

ლოგიკა

10. დავუშვათ:

• ყველა ის ქუჩა, რომელიც მოედნის ახლოსაა, განიერია

• კაფე შეიძლება იყოს მხოლოდ იმ ქუჩებზე, რომლებიც მოედნის ახლოსაა

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ამ დებულებებიდან აუცილებლად?

(ა) ყველა ქუჩაზე, რომელიც მოედნის ახლოსაა, არის კაფე

(ბ) ყველა ქუჩა, რომელზეც არის კაფე, განიერია

(გ) არცერთი ქუჩა, რომელზეც არ არის კაფე, არაა განიერი

(დ) არცერთი ქუჩა, რომელიც მოედნის ახლოს არაა, არაა განიერი

11. სოციოლოგებმა რეგიონში ჩაატარეს კვლევა, რომლის მონაცემებით ცხადი გახდა, რომ ამ რეგიონის მცხოვრებთა 95% ბუნებაში ყოფნისას შემგროვებლურ-მონადირული საქმიანობითაა დაკავებული, მაშინ, როცა მხოლოდ 5%-ს სურს ბუნებაზე დაკვირვება და ზრუნვა მის დასაცავად. სოციოლოგებმა ივარაუდეს, რომ ეს ტენდენცია რეგიონის მცხოვრებთა დაბალმა ეკოლოგიურმა კულტურამ განაპირობა.

ჩამოთვლილთაგან რომელი ფაქტი განამტკიცებს ამ ვარაუდს?

(ა) ამ რეგიონის მცხოვრებნი მკაცრად იცავენ მონადირეთა კლუბის თუ გარემოს დაცვის ასოციაციის წესდების მოთხოვნებს, რომლებიც ბუნების დაცვის თანამედროვე პრინციპებს ემყარება

(ბ) ამ რეგიონში დიდი ხანია აკრძალულია ტყის გაჩეხვა და გამოიყენება საწვავის უფრო ეფექტური და ეკონომიური სახეობები

(გ) ამ რეგიონში მთებით, ტბებითა თუ ჩანჩქერებით მდიდარი უამრავი ტერიტორიაა კარგადმოვლილი და დაცული, რაც ბიოლოგებსა თუ ბუნებისმოყვარულ ტურისტებს იზიდავს

(დ) ამ რეგიონის ხელმძღვანელობამ პრემია დააწესა მტაცებელთა განადგურებისთვის, ხოლო მათი რაოდენობის შემცირებამ ეკოსისტემის რღვევის საფრთხე შექმნა

12. მოცემულია:

• ყველა ლომი მტაცებელი ცხოველია

• აფრიკაში მტაცებელი ცხოველები ბინადრობენ

მაშასადამე, აფრიკაში ლომები ბინადრობენ.

ეს დასკვნა:

(ა) გამომდინარეობს ერთობლივად ორივე წანამძღვრიდან

(ბ) გამომდინარეობს თითოეული წანამძღვრიდან ცალ-ცალკე

(გ) გამომდინარეობს მხოლოდ ერთ-ერთი წანამძღვრიდან

(დ) არ გამომდინარეობს მოცემული წანამძღვრებიდან

13. მაგიდის ირგვლივ ექვსი ბავშვია, გოგონები და ბიჭები. ახურავთ ფერადი ქუდები და აცვიათ ფერადი ქურთუკები, ხელში უჭირავთ ბურთები.

შეუძლებელია:

ა) ყველა ბავშვი დგას ორ მასზე უფროს ბავშვს შორის

ბ) ყოველ ბავშვს ეცვას იგივე ფერის ქურთუკი, რა ფერის ქუდიც ახურავს მის გვერდით მდგომს

გ) ყოველი გოგონა დგას ბიჭებს შორის, ყოველი ბიჭი კი გოგონებს შორის

დ) ყოველ ბავშვს უჭირავს განსხვავებული ფერის ბურთი

წაკითხული ტექსტის გააზრება

ეგვიპტის ხელახალი აღმოჩენა ევროპის მიერ და ამ ცივილიზაციისადმი უდიდესი ინტერესის ახალი ტალღის აგორება ნაპოლეონის სახელთანაა დაკავშირებული.

1798 წელს სამასზე მეტი გემისგან შემდგარი ფლოტილიით ნაპოლეონი ეგვიპტის ნაპირებს მიადგა. გემებზე ჯარისკაცებთან ერთად სამოქალაქო პირებიც იყვნენ, მათ შორის მეცნიერები, რომელთაც თან ჰქონდათ წაღებული უნიკალური ბიბლიოთეკა ეგვიპტის შესახებ, აგრეთვე, სხვადასხვა ხელსაწყოები. ამ პირებს შორის იყო ვინმე დომენიკ ვივან დენონი, მრავალმხრივი ინტერესების მქონე პიროვნება, რომელიც იმდენად იყო აღტაცებული ეგვიპტით, რომ არად დაგიდევდათ საშინელ სიცხესა და მოგზაურობის რთულ პირობებს და გამუდმებით, ნებისმიერ ვითარებაში იხატავდა ეგვიპტურ ღირშესანიშნაობებს. დენონის ზუსტი, რეალისტური ნახატები, თუმც მოკლებული იყო მხატვრულ ღირებულებას, მაგრამ სავსებით გამოსადეგი აღმოჩნდა სამეცნიერო მიზნებისათვის. სწორედ დენონის მიერ შეგროვებულ მასალაზე დაყრდნობით დაიწერა 24-ტომიანი წიგნი “ეგვიპტის აღწერა”, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ახალ მეცნიერებას- ეგვიპტოლოგიას.

ნაპოლეონის ლაშქრობა ეგვიპტეში სხვა მხრივაც იყო მნიშვნელოვანი. სწორედ ამ ლაშქრობის დროს იპოვეს ფრანგმა ჯარისკაცებმა ე.წ. როზეტის ქვა, რომლის საშუალებითაც გახსნილ იქნა ეგვიპტური იეროგლიფების საიდუმლო. როზეტის ქვაზე აღმოჩნდა ორენოვანი წარწერა-ბერძნული და ეგვიპტური. ეგვიპტური ტექსტი ორჯერ მეორდებოდა. ერთი შესრულებული იყო იეროგლიფებით, მეორე კი - დემოტიკური დამწერლობით.

ეგვიპტის ისტორიის შესასწავლად აუცილებელი იყო ეგვიპტური დამწერლობის გაშიფვრა. ეს მეტად საშური საქმე იყო, რადგან ეგვიპტელები წერდნენ ყველგან, სადაც კი წარწერის მოთავსება იყო შესაძლებელი: ტაძრების, სასახლეების, პირამიდების, აკლდამების კედლებზე, ქანდაკებებსა და რელიეფებზე, ფრესკებზე, ნივთებზეც კი, აგრეთვე- პაპირუსებზე.

ეგვიპტური იეროგლიფური დამწერლობის ძეგლები ევროპაში ცნობილი იყო ანტიკურ ხანაშიც, შუა საუკუნეებშიც და შემდეგაც. რომისა და კონსტანტინოპოლის მოედნებს ამკობდა ეგვიპტიდან ჩამოტანილი ქანდაკებები, რომლებზეც წარწერები იყო დატანილი, მაგრამ უკვე ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან აღარავინ იყო ისეთი, ვინც მათ წაკითხვას შეძლებდა.

საქმე ის გახლავთ, რომ ეგვიპტური იეროგლიფების წაკითხვის ყველა მცდელობა თავიდანვე განწირული იყო მარცხისთვის, რადგან არასწორ საფუძველს ემყარებოდა. ყველა, ვინც კი ამ საქმეს ხელს ჰკიდებდა, თვლიდა, რომ იეროგლიფები ხატოვანი დამწერლობის ნიმუშები იყო და თითოეული რაღაც ცნებას აღნიშნავდა; შესაბამისად, ისინი არასწორ გზას ადგებოდნენ და იეროგლიფების წაკითხვასაც ვერ ახერხებდნენ. პირველი, ვინც ძალზე მარტივი, მაგრამ სრულიად გენიალური დასკვნა გააკეთა-რომ თითოეული ეს ნიშანი ასო იყო და არა რაიმე ცნების აღმნიშვნელი იეროგლიფი-ფრანგი ეგვიპტოლოგი ჟან ფრანსუა შამპოლიონი გახლდათ. ამ მარტივი ჭეშმარიტების მოხელთებას შამპოლიონმა მთელი სიცოცხლე მოანდომა. ამ დასკნამდე მისვლას წინ უძღოდა ათწლეულების დაუღალავი შრომა და გატეხილი ღამეები.

14. რომელი წინადადებაა მართებული ტექსტის მიხედვით?

(ა) ევროპა არასდროს იჩენდა ინტერესს ეგვიპტესადმი, ნაპოლეონი მხოლოდ გამონაკლისს წაემოადგენს ამ შემთხვევაში

(ბ) ეგვიპტეში ნაპოლეონის ლაშქრობის შედეგმა გააცხოველა ინტერესი და უფრო აქტუალური გახადა ეგვიპტური კულტურის ცნება

(გ) ეგვიპტური კულტურის წანამძღვრების ძიების ახალი ტალღა ევროპის დაინტერესებული წრეების მიერ გახმაურდა

(დ) ნაპოლეონის სამხედრო ინტერესები ბიძგის მიმცემი გახდა ფრანგული კულტურის მკვლევართათვის

15. რა მიზანს ემსახურებოდა ნაპოლეონის ლაშქრობა ეგვიპტეში?

(ა) ეგვიპტური იეროგლიფების საიდუმლო სტრუქტურის გაშიფვრას და მათი კულტურის არსებითი ნიშან-თვისებების წვდომას

(ბ) ეგვიპტის კულტურულ-სამეცნიერო კერებთან თანამშრომლობას, მეცნიერების ახალი დარგის ჩამოყალიბებას

(გ) სამხედრო ინტერესებთან ერთად ეგვიპტური კულტურის საიდუმლოების წვდომას მისი კვლევის გზით

(დ) ნაპოლეონის იმპერიალისტურ მისწრაფებებსა და ახალი ტერიტორიების ათვისებას

16. დენონის ჩანახატების შესახებ შეიძლება ითქვას, რომ:

(ა) შესაძლოა არ გამოირჩეოდა შემოქმედებითი კუთხით, თუმცა მრავლისმომცემი იყო ინფორმაციულად

(ბ) ისინი არ გამოირჩეპდნენ ორიგინალთან ადეკვატურობით, თუმცა გააჩნდათ გარკვეული მხატვრული ღირებულებები

(გ) რეალისტური ჩანახატები გაცილებით საყურადღებო და ღირშესანიშნავი აღმოჩნდა შემოქმედებითი თვალსაზრისით

(დ) რამდენადაც არ გამოირჩეოდა შემეცნებითი თვალსაზრისით, იმდენად ღირებული იყო მათი მხატვრული მხარე

17. რა იყო მიზანი დენონისა, როცა ის ეგვიპტურ ძეგლებს იხატავდა?

(ა) ახალი ძიებებისა და მიგნებების სტიმულირება გრაფიკულ დარგში

(ბ) წარუშლელი შთაბეჭდილებების შეძლებისდაგვარად ასახვა და შემონახვა

(გ) ხელოვანთა ყურადღების მიპყრობა ეგვიპტური ძეგლების თავისებურებებზე

(დ) ეგვიპტოლოგიის, როგორც მეცნიერების ახალი დარგის ჩამოყალიბება

18. ქვემოთ ჩამოთვლილი წინადადებებიდან რომელშია ასახული II აბზაცის მთავარი სათქმელი?

(ა) ერთ-ერთი ფრანგი მეცნიერის მოღვაწეობამ ჩაუყარა საფუძველი ახალ მოძღვრებას - ეგვიპტოლოგიას

(ბ) ერთმა ფრანგმა მეცნიერმა ყველაზე ზუსტად და მკაფიოდ ასახა ეგვიპტური ღირშესანიშნეობები

(გ) ნაპოლეონის თანმხლებ მეცნიერთაგან ერთ-ერთის კვლევებმა ეგვიპტოლოგიას ჩაუყარა საფუძველი

(დ) ფრანგმა მეცნიერებმა მოახდინეს ეგვიპტურ ძეგლთა რესტავრაცია

19. რომელი ფაქტი არ დასტურდება ტექსტში

(ა) ნაპოლეონს ეგვიპტეში ლაშქრობისას თან ჰქონდა არქეოლოგიური გათხრებისათვის საჭირო ხელსაწყოები

(ბ) როზეტის ბილინგვა იყო ბერძნულად და ეგვიპტურად შესრულებული

(გ) როზეტის ქვის დახმარებით გაიშიფრა ეგვიპტური იეროგლიფები

(დ) ფრანგი ჯარისკაცების აღმოჩენა (როზეტის ქვა) მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ეგვიპტური კულტურის მკვლევართათვის

20. ეგვიპტური იეროგლიფების წაკითხვის ყველა მცდელობა განწირული იყო, რადგან:

(ა) იეროგლიფები აღნიშნავდნენ არა კონკრეტულ ცნებას, არამედ ბგერას გრაფიკულად

(ბ) ამ იეროგლიფების ამოკითხვა შეუძლებელი იყო როზეტის ქვის გარეშე

(გ) იეროგლიფები არ იყო მხოლოდ ბგერის გრაფიკული აღნიშვნა, არამედ ჰქონდა გარკვეული მნიშვნელობა (შეესაბამებოდა გარკვეულ ცნებას)

(დ) ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან აღარავინ მოიძებნებოდა ისეთი, ვინც მათ წაკითხვას შეძლებდა

ანალოგიები

ამ სახის დავალებებში მოცემულია მუქი შრიფტით გამოკვეთილი ორი (საწყისი წყვილი), რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობსგარკვეული მიმართება. მათ ქვემოთ მოცემულია სიტყვა, რომელსაც სავარაუდო პასუხებიდან უნდა შეუსაბამოთ ერთ-ერთი ვარიანტი, ისე, რომ სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება საწყის წყვილში არსებული მიმართების მსგავში (ანალოგიური) იყოს.

21. **სტარტი : ფინიში**
პროლოგი:

ა) სათაური
ბ) შესავალი
გ) ეპილოგი
დ) კულმინაცია

22. უკოპრომისო : დათმობა
შეუბრალებელი:

ა) ლმობიერება
ბ) გულცივობა
გ) სიმკაცრე
დ) სიკეთე

23. **სარკე : არეკვლა**
ლინზა:

ა) დანახვა
ბ) ოპტიკა
გ) თვალი
დ) გარდატეხა

24. **ადგილი : დაკავებული**
ბილეთი:

ა) იღბლიანი
ბ) საგამოცდო
გ) გაყიდული
დ) დაკარგული

25. **დღე : თვე**
ნოტი:

ა) მელოდია
ბ) გამა
გ) ოქტავა
დ) სიმღერა

26. **გულგატეხილობა : იმედის გაცრუება**
ბრმად გადაწყვეტა:

ა) ბედის გამოცდა
ბ) შემთხვევითობა
გ) ალბათობა
დ) დაუფიქრებლობა

წინადადებების შევსება

27. "ქართლის ცხოვრება" ——————------ დროს, ——————— ავტორთა მიერ დაწერილი თხზულებების კრებულია, ის დგებოდა ჟამითი-ჟამად და ———— ხდებოდა მისი შევსება-რედაქტირება. მაგრამ ის ————— ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ საისტორიო ნაწარმოებთა ხელოვნურად შედგენილი კრებული, იგი ————— თხზულებაა, რომელიც გადმოგვცემს ერისა და ქვეყნის ისტორიას.

ა) ერთსა და იმავე / ერთი ეპოქის / ერთბაშად / არის / მაინც საინტერესო
ბ) სხვადასხვა / სხვადასხვა / ერთბაშად / არ არის / მთლიანი
გ) სხვადასხვა / სხვადასხვა / საუკუნეთა მანძილზე / არ არის / ერთიანი
დ) ერთი და იმავე / სხვადასხვა / შემდეგ / არ არის / მხატვრული

28. რაც უფრო ——————— ახალშექმნილი დამწერლობა, რაც უფრო ———— ასახავს იგი ენის ბგერით მხარეს, მით უფრო ————— დამატებები და შესწორებები შეაქვთ შემდგომ მასში, მით უფრო ————— იგი თავისი ხასიათი.

ა) არასრულყოფილია/ ცუდად / ნაკლები / მდგრადია
ბ) უნაკლოა / სრულყოფილად / მეტი / ცვალებადია
გ) სრულყოფილია / ადეკვატურად / ნაკლები / სტაბილურია
დ) მდგრადია / უზადოდ / ნაკლები / არასტაბილურია

29. ამ ქვეყანაზე ———— ფუჭი შრომა, რობოტივით მოქმედება, ————— რაიმე სამუშაოს შესრულება ———-მიხედვით. მით უფრო თუ ეს ჩანაფიქრი ————— .

ა) ყველას არ უყვარს / არავის ეხალისება / თავისი ჩანაფიქრის / მისთვის გასაგებია
ბ) არავის უყვარს / არავის ეხალისება / სხვისი ჩანაფიქრის / მისთვის უცხოა და გაუგებარი
გ) ზოგიერთს უყვარს / ხოლო ზოგიერთს მოსწონს / სხვისი ჩანაფიქრის / მისთვის უცხოა
დ) ზოგიერთს სძულს / ხოლო ზოგიერთს მოსწონს / თავისი ჩანაფიქრის / მისი არაა

30. საკუთარი დამწერლობისადმი ერების ერთგულებას ყველაზე კარგად ესპანეთის ებრაელებსა და არაბებზე დაკვირვება გვიდასტურებს. პირველნი ესპანეთში არაბთა ბატონობის დროს _____ შექმნილი მნიშვნელოვანი ლიტერატურა დაგვიტოვეს, მაგრამ იგი _____ იყო დაწერილი. ასევე, არაბებმა მშობლიურ ენად _____ და ამ ენაზე შექმნეს ბრწყინვალე ლიტერატურა, რომელიც _____ იყო შესრულებული.

(ა) არაბულად ლაპარაკობდნენ და არაბულ ენაზე / მათივე საკუთარი ებრაული ანბანით / ესპანური შეითვისეს / არაბული დამწერლობით
(ბ) არაბულად ლაპარაკობდნენ და ესპანურ ენაზე / მათივე საკუთარი ებრაული ანბანით / ესპანური შეითვისეს / ესპანური ანბანის გამოყენებით
(გ) ებრაულ ენაზე ლაპარაკობდნენ და ებრაულ ენაზე / არაბული ანბანით / ესპანური ვერ შეითვისეს / ებრაული დამწერლობით
(დ) ებრაულ ენაზე ლაპარაკობდნენ და ესპანურ ენაზე / არაბული ანბანით / არაბული შეითვისეს / ესპანური ანბანის გამოყენებით

ლოგიკა

31. დავუშვათ, არსებობენ ადამიანები, რომლებსაც სურთ განმარტოებით ცხოვრება.

• ყველას, ვისაც სურს განმარტოებით ცხოვრება, უყვარს პოეზია
• ზოგიერთ მათგანს, ვინც განმარტოებით ცხოვრობს, არ უყვარს პოეზია
ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დასკვნა გამომდინარეობს ამ დებულებებიდან
აუცილებლად?

(ა) ზოგიერთს, ვისაც პოეზია უყვარს, არ სურს განმარტოებით ცხოვრება
(ბ) განმარტოებით ცხოვრობს მხოლოდ ის, ვისაც სურს განმარტოებით ცხოვრება
(გ) ზოგიერთს, ვინც განმარტოებით ცხოვრობს, არ სურს განმარტოებით ცხოვრება
(დ) განმარტოებით ცხოვრობს მხოლოდ ის, ვისაც უყვარს პოეზია

32. მოცემულია:
• აკრობატებს სრულიად არ აქვთ სიმაღლის შიში
ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი უნდა ავიღოთ მეორე დებულებად, რომ შევძლოთ დავასკვნათ:
• ცირკისზოგიერთ მსახიობს სრულიად არ აქვს სიმაღლის შიში
(ა) ზოგიერთი აკრობატი ცირკში მუშაობს
(ბ) აკრობატები არ მიეკუთვნებიან გაუბედავ ადამიანთა რიცხვს
(გ) რაც უფრო დიდხანს მუშაობს ცირკში მსახიობი, მით უფრო ნაკლებ მოსალოდნელია, რომ მას სიმაღლის შიში ჰქონდეს
(დ) რაც უფრო გაუბედავია მსახიობი, მით უფრო მეტად მოსალოდნელია, რომ მას სიმაღლის შიში ჰქონდეს

33. დიმიტრი, ნიკო და ლევანი მწერლები არიან. ერთი მათგანი რომანებს წერს, ერთი _ ნოველებს, ერთი კი _ სონეტებს. გარდა ამისა, ცნობილია, რომ:
• ნოველისტს ყველაზე ნაკლები რაოდენობის წიგნი აქვს გამოცემული, თანაც ის მხოლოდ ქართულ გამომცემლობებთან თანამშრომლობს
• ლევანის დახმარებით, ნიკოს წიგნები გამოსცეს როგორც ქართულმა, ასევე, უცხოურმა გამომცემლობებმა
• ლევანს რომანისტზე მეტი რაოდენობის წიგნი აქვს გამოცემული.
რომელი ჟანრის ნაწარმოებებს წერს ნიკო?

(ა) რომანებს
(ბ) ნოველებს
(გ) სონეტებს
(დ) მონაცემები საკმარისი არაა პასუხის გასაცემად

34. ერთ-ერთმა ტელეკომპანიამ ჩაატარა მაყურებელთა სატელეფონო გამოკითხვა იმის გასარკვევად, თუ რა გადაცემებს უყურებენ ისინი დღის გარკვეულ მონაკვეთში. გამოკითხვა ყოველდღე ერთსა და იმავ დროს ტარდებოდა. კითხვაზე, "რომელ ტელეგადაცემას უყურებთ ახლა?", გამოკითხულთა უმრავლესობა პასუხობდა _ "ტელესერიალს". მიღებული შედეგების საფუძველზე ტელეკომპანიის ხელმძღვანელობამ ივარაუდა, რომ ტელესერიალები ტელეგადაცემათა ყველაზე პოპულარული კატეგორიაა.
ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ფაქტი აყენებს ეჭვქვეშ ტელეკომპანიის ხელმძღვანელობის ვარაუდს?

(ა) გამოკითხვისთვის შერჩეული დრო ემთხვეოდა იმ პერიოდს, როდესაც მაყურებელთა უმრავლესობა სამსახურიდან მოსვლის შემდეგ ისვენებს და, შესაბამისად, მსუბუქ, გასართობ პროგრამებს ანიჭებს უპირატესობას
(ბ) გამოკითხვისთვის შერჩეული დროის მონაკვეთში ყველა ტელეარხზე, როგორც წესი, ტელესერიალებს უჩვენებენ
(გ) ტელეკომპანიის ხელმძღვანელობის მოლოდინის საპირისპიროდ, აღმოჩნდა, რომ ქალბატონებთან ერთად ტელესერიალებს მამაკაცებიც სიამოვნებით უყურებდნენ
(დ) ადამიანი ადვილად ეჩვევა ტელესერიალების ყურებას, რის გამოც ეს პროცესი მაყურებელთა უმრავლესობისთვის ყოველდღიურ აუცილებლობადაა ქცეული

წაკითხული ტექსტის გააზრება

ადრეული და თანამედროვე მუსიკის გამიჯვნისა და ორივე მათგანისათვის საშემსრულებლო წესების დადგენის პირველი მცდელობა თარიღდება მე-18 საუკუნით. ამ საუკუნის პირველ ნახევარში, როცა ტელემანი და ბახი გერმანიის ქალაქ ლაიფციგში ხელმძღვანელობდნენ collegiums musicum–ს, ისინი ასრულებდნენ როგორც თავიანთ, ასევე სხვათა თანამედროვე მუსიკას. თუმცა მე-20 საუკუნის გერმანულ უნივერსიტეტებში სახეშეცვლილი collegiums musicum დაკავებული იყო წინა საუკუნეების მუსიკის შესრულებით, რაც გულისხმობდა ბახისა და ჰენდელის პერიოდამდელ მუსიკას.

აღნიშნული გათანამედროებული collegiums musicum-ის გარდა გერმანელმა მუსიკათმცოდნეებმა შექმნეს ისტორიული ქვე-დისციპლინა რომელიც ცნობილია "საშემსრულებლო პრაქტიკის" სახელით, რაც გულისხმობდა ძველი მუსიკალური ჩანაწერების გაშიფვრას და მათ გადაწერას თანამედროვე მუსიკალური ნიშნებით, მოძველებული ინსტრუმენტების შესწავლას და ძველი ზეპირი ტრადიციების აღორძინებას, რაც დაკავშირებული იყო მივიწყებული რეპერტუართან. ამგვარი კვლევები მოიცავდა პერიოდს, რომელიც წყდება დაახლოებით 1750 წელს ბახის გარდაცვალებასთან ერთად, რადგან ბახის, ჰენდელის, ტელემანისა და მათი თანამედროვეთა მუსიკა ბუნებრივად მოითხოვდა მოძველებულ ინსტრუმენტებსა და ბგერებს, და ისეთ არაანოტირებულ საშემსრულებლო ტრადიციებს, როგორიცაა მაგალითად ვოკალური და ინსტრუმენტული მელოდიური გაფორმების სპონტანური (იმპროვიზირებული) შესრულება. გარდა ამისა, მცირე გამონაკლისების გარდა, გვიანდელი ბაროკოს სტილის მუსიკა თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე აღარ სრულდებოდა და შედეგად მასთან დაკავშირებული ზეპირი საშემსრულებლო ტრადიციებიც მივიწყებას მიეცა. ამის საპირისპიროდ, მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან ჰაიდნისა და მოცარტის მუსიკალურ ნაწარმოებებში მუსიკის ჩაწერა უფრო სრულყოფილია ადრინდელი პერიოდის მიმდინარეობებთან შედარებით, მუსიკალური ინსტრუმენტებიც უფრო ნაცნობია და რაიმე "სპეციფიურ" ცოდნასაც აღარ მოითხოვს. გარდა ამისა, ჰაიდნისა და მოცარტის მუსიკამ, რომლის შესრულებაც არასოდეს შეუწყვეტიათ, შეძლო შემოენახა საშემსრულებლო პრაქტიკის ზეპირი ტრადიციები.

მიუხედავად ამისა, მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან შუასაუკუნეების მუსიკის შემსრულებლებმა გადაუხვიეს ჰაიდნის, მოცარტისა და ბეთჰოვენის მუსიკალურ ტრადიციებს. რა იყო ამის მიზეზი? საშემსრულებლო პრაქტიკის შემსწავლელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ჩვენამდე მოღწეული ზეპირი საშემსრულებლო ტრადიციები, რომლებიც ვენის კლასიკურ სკოლასთან ასოცირდებოდა, ხშირად არ უკავშირდებოდა მე-18 საუკუნეს და 1750 წლის შემდგომ დამკვიდრებული სამუსიკო ტრადიციები თითქმის იმდენივე ამოუცნობ საიდუმლოს შეიცავდა, როგორც უფრო ადრინდელი სამუსიკო რეპერტუარები. გარდა ამისა, სულ უფრო და უფრო მეტი ახალგაზრდა მომღერალი და ინსტრუმენტალისტი გაიტაცა ადრინდელმა მუსიკამ და მათი პროფესიონალიზმის ზრდასთან ერთად ადრეული მუსიკის შესრულების ტექნიკურმა დონემაც გიგანტური ნახტომი გააკეთა.

ადრეული მუსიკის შემსრულებელმა პროფესიონალურმა მუსიკალურმა ჯგუფებმა, რომლებიც იზიარებდნენ ზემოაღნიშნულ ხედვას, გააფართოვეს თავიანთი რეპერტუარი უფრო გვიანდელი მუსიკის ხარჯზე, რითიც

უმრავლესობის მკვეთრი პროტესტი გამოიწვიეს. დაპირისპირება ამ ორ ბანაკს შორის გასცდა ინტრუმენტების შერჩევის საკითხს და შეეხო ისეთ, უფრო მნიშვნელოვან თემებს, როგორიცაა შესრულების სტილი და მანერა. მათი უთანხმოების მთავარი თემა მდგომარეობს შემდეგში: საშემსრულებლო ტრადიციების შესახებ არსებული ისტორიული ცოდნა მუსიკის ჯეროვანი ინტერპრეტაციისათვის აუცილებელი წინაპირობაა, თუ ის მხოლოდ ბარიერს უქმნის შემოქმედებით მუსიკალურ ტრადიციებს.

35. რა ფუნქციას ასრულებდა სახეშეცვლილი "collegiums musicum"?
ა) ჯგუფი ასრულებდა ძველ გერმანულ საეკლესიო საგალობლებს
ბ) ჯგუფი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას უნივერსიტეტებში
გ) ჯგუფი ასრულებდა ტელემანისა და ბახის ნაწარმოებებს
დ) ჯგუფი ასრულებდა ბახისა და ჰენდელის პერიოდამდელ და წინა საუკუნეების მუსიკას

36. რა საქმიანობას ეწეოდა ისტორიული დისციპლინა "საშემსრულებლო პრაქტიკა?
ა) ძველი მუსიკალური ჩანაწერების გაშიფვრას და გადაწერას თანამედროვე მუსიკალური ნიშნებით, მოძველებული ინსტრუმენტების შესწავლას და ზეპირი ტრადიციების აღორძინებას
ბ) ბახისა და მოცარტის ნაწარმოების შესრულებას
გ) არანოტირებული საშემსრულებლო ტრადიციების აღორძინებას
დ) გვიანდელი ბაროკოს სტილის მუსიკის შესრულებას.

37. ტექსტის მიხედვით რომელი კომპოზიტორები ანიჭებდნენ უპირატესობას არანოტირებულ საშემსრულებლო ტრადიციებს:

ა) შუმანი და ბეთჰოვენი
ბ) ბაროკოს სტილის მუსიკოსები
გ) ბახი, ჰენდელი, ტელემანი და მათი თანამედროვეები
დ) " collegiums musicum" -ის ჯგუფის წარმომადგენლები

38. ტექსტის მიხედვით რა როლი შეასრულა ჰაიდნისა და მოცარტის მუსიკამ საშემსრულებლო პრაქტიკაში

ა) ჰაიდნისა და მოცარტის მუსიკამ შეძლო შემოენახა საშემსრულებლო პრაქტიკის ზეპირი ტრადიციები
ბ) ჰაიდნისა და მოცარტის მუსიკაზე აღიზარდნენ შესანიშნავი შემსრულებლები
გ) ჰაიდნისა და მოცარტის შემოქმედებამ ააღორძინა ვენის კლასიკური სკოლა
დ) ჰაიდნისა და მოცარტის მუსიკამ გაზარდა საშემსრულებლო დონე

39. მუსიკოსთა ორი ბანაკის დაპირისპირების მთავარი მიზეზი

ა) თანამედროვე მუსიკოსების ადრინდელი მუსიკით გატაცება
ბ) საშემსრულებლო ტრადიციების შესახებ არსებული ისტორიული ცოდნა მუსიკის ინტერპრეტაციისათვის აუცილებელი წინაპირობაა, თუ იგი ბარიერს უქმნის შემოქმედებით მუსიკალურ ტრადიციებს
გ) შესრულების მანერა და სტილი
დ) ზეპირი საშემსრულებლო ტრადიციების გაგრძელება

40. რა იყო მიზეზი მე-20 საუკუნის 60-იან წლებში მუსიკოსთა მიერ ჰაიდნის, მოცარტის და ბეთჰოვენის ტრადიციებიდან გადახვევისა
ა) ახალგაზრდა შემსრულებლები გაიტაცა თანამედროვე კომპოზიტორთა ნაწარმოებებმა
ბ) ჰაიდნის, მოცარტისა და ბეთჰოვენის ნაწარმოებები ბევრ ამოუცნობ საიდუმლეობას შეიცავდა
გ) ადრინდელი სამუსიკო რეპერტუარის დაუფლება რთული აღმოჩნდა თანამედროვე შემსრულებლებისათვის
დ) სულ უფრო და უფრო მეტი ახალგაზრდა მომღერალი გაიტაცა ადრინდელმა მუსიკამ და პროფესიონალიზმის ზრდასთან ერთად შესრულების ტექნიკურმა დონემაც გიგანტური ნახტომი გააკეთა

მათემატიკური ნაწილი

რაოდენობრივი შედარება

	A	B	
41	2,201·1000	2,201:0,001	(ა) (ბ) (გ) (დ)
42	სამკუთხედის ორი გვერდის სიგრძე 15 სმ და 18 სმ-ია. შეადარეთ: სამკუთხედის პერიმეტრი	67	(ა) (ბ) (გ) (დ)
43	18 სტუდენტი სწავლობს ან ესპანურს, ან გერმანულს ან ორივე ენას ერთად. სტუდენტების 50% ზე მეტი სწავლობს ორივე ენას. სტუდენტების რაოდენობა, რომელიც სწავლობს გერმანულს და არ სწავლობს ესპანურს	სტუდენტების რაოდენობა, რომელიც სწავლობს ესპანურს და არ სწავლობს გერმანულს	(ა) (ბ) (გ) (დ)
44	3x -3-4x=x-7-2x+4 **x**	**0**	(ა) (ბ) (გ) (დ)
45	პეტრეს ასაკი ორჯერ მეტია ქეთის ასაკზე. ორი წლის წინ რომანის ასაკი იყო პეტრეს მაშინდელი ასაკის ნახევრის ტოლი (რა ასაკისაც იყო მაშინ პეტრე) რომანის ასაკი	ქეთის ასაკი	(ა) (ბ) (გ) (დ)
46	 M - შუაწერტილია x	y	(ა) (ბ) (გ) (დ)

ამოცანები

47. თუ $a > 0$ და $f(a) = a^2 + a$, მაშინ $\frac{f(a)}{f(-a)} = ?$

ა) -1 ბ) $\frac{a+1}{a-1}$ გ) $\frac{a^2}{a+1}$ დ) a ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი

48. ყველა ნატურალური რიცხვი, რომელიც უნაშთოდ იყოფა 4-ზე და 15-ზე, აუცილებლად იყოფა

ა) 45-ზე ბ) 8-ზე გ) 18-ზე დ) 24-ზე ე) 6-ზე

49. 7 რიცხვის საშუალო არითმეტიკული უდრის $7n$ -ს. როგორ გამოითვლება n -ის საშუალებით ამ რიცხვების ჯამი?

ა) $\frac{n}{7}$ ბ) $7n$ გ) $\frac{49}{n}$ დ) $\frac{n}{49}$ ე) $49n$

50. გამუქებული ფიგურა წარმოადგენს ტრაპეციას. რას უდრის ამ ფიგურის ფართობი?



ა) 16 ბ) 17 გ) 15 დ) 18 ე) 19

51. მოცემულ ნამრავლთა შორის რომელია უდიდესი?

ა) 22×22×222 ბ) 22×22×22 გ) 2×2×22×222 დ) 2×2×2×2×2×2 ე) 22×2×22

მონაცემთა ანალიზი

ქალაქის მუნიციპალიტეტის დავალებით სხვადასხვა წლებში გამოიკვლიეს, ქ ალაქის მოსახლეობის რა ნაწილი სარგებლობს კერძო ტრანსპორტით ან საზოგადოებრივი ტრანსპორტის ამა თუ იმ სახეობით. ცხრილში მოცემულია, 1990-1996 წლებში ქალაქის მცხოვრებთა რამდენი პროცენტი სარგებლობდა კერძო ტრანსპორტით ან საზოგადოებრივი ტრანსპორტის შემდეგი სახეობებით: ავტობუსით, მიკროავტობუსით, ტროლეიბუსით, ტრამვაით თუ მეტროპოლიტენით.

	კერძო ტრანსპორტი	საზოგადოებრივი ტრანსპორტი				
		ავტობუსი	მიკროავტობუსი	ტროლეიბუსი	ტრამვაი	მეტროპოლიტენი
1990	11	35	8	14	7	25
1991	9	36	8	14	6	27
1992	11	32	10	12	5	30
1993	17	28	15	10	4	26
1994	16	30	16	11	3	24
1995	14	32	12	13	3	26
1996	12	35	10	12	3	28

ცხრილის მიხედვით უპასუხეთ შემდეგ 2 შეკითხვას:

52. ქალაქის მცხოვრებთა რამდენი პროცენტი მგზავრობდა საზოგადოებრივი ტრანსპორტით 1995 წელს?

(ა) 89 (ბ) 86 (გ) 84 (დ) 81 (ე) 78

53. მიახლოებით გამოთვალეთ, რამდენჯერ მეტი იყო იმ მცხოვრებთა რაოდენობა, რომლებიც 1994 წელს ავტობუსით და მიკროავტობუსით სარგებლობდნენ, მათ რაოდენობაზე, ვინც იმავე წელს კერძო ტრანსპორტით სარგებლობდა?

(ა) 1,5-ჯერ (ბ) 2-ჯერ (გ) 2,5-ჯერ (დ) 3-ჯერ (ე) 3,5-ჯერ

ამოცანები

54. პირველ თაროზე 3-ჯერ მეტი წიგნია, ვიდრე მეორეზე და 4-ით ნაკლები ვიდრე მესამეზე. მეოთხე თაროზე წიგნების რაოდენობა 10-ით ნაკლებია, ვიდრე I და II თაროებზე ერთად. თუ მეორე თაროზე წიგნების რაოდენობაა x, როგორ შეიძლება გამოვსახოთ ოთხივე თაროზე წიგნების რაოდენობა?

ა) $11x-6$ ბ) $10x+6$ გ) $10x+4$ დ) $8x-2$ ე) $4x$

55. ტაქსის კომპანიის ტარიფი კილომეტრის პირველ მეოთხედზე 1,75 ლარია, ყოველ დამატებით მეოთხედზე კი 0,15 ლარი. რა მაქსიმალური მანძილის გავლა შეუძლია მგზავრს, რომელსაც 4,90 ლარი აქვს.

ა) 4 კმ ბ) $5\frac{1}{2}$ კმ გ) $4\frac{3}{4}$ კმ დ) $14\frac{1}{3}$ კმ ე) $4\frac{1}{4}$ კმ

56. AC და AD შესაბამისად პატარა და დიდი წრის დიამეტრებია. $AB = BC = CD$. რას უდრის დაშტრიხული არის ფართობის შეფარდება პატარა წრის ფართობთან?



ა) 1:1 ბ) 3:2 გ) 4: 3 დ) 5 :4 ე) 9 :4

57. ყუთში მხოლოდ წითელი და თეთრი ფერის წინდებია. მინიმუმ რამდენი წინდა უნდა ამოვიღოთ ყუთიდან, მასში ჩაუხედავად, რომ მათგან **აუცილებლად** შედგეს 3 წყვილი? (წყვილს შეადგენს ორი ერთნაირი ფერის წინდა)

ა) 6 ბ) 8 გ) 7 დ) 9 ე) 10

58. მენავე დინების მიმართულებით 3 საათში იმდენ კმ-ს მიცურავდა რამდენსაც 3 სთ 40 წთ -ში დინების საწინააღმდეგოდ. იპოვეთ დინების სიჩქარე, თუ ნავის სიჩქარე მდგარ წყალში 5 კმ/სთ-ია

ა) 2 კმ/სთ ბ) 1,5 კმ/სთ გ) 1 კმ/სთ დ) 3კმ/ სთ ე) 0,5კმ/ სთ

59. ფირმაში თანამშრომელთა $\frac{2}{3}$ ქერათმიანია, დანარჩენების $\frac{3}{5}$ კი დაოჯახებული, ხოლო 12 არ არის დაოჯახებული. სულ რამდენი თანამშრომელია ფირმაში?

ა) 13 ბ) 15 გ) 18 დ) 60 ე) 19

60. რას უდრის აღნიშნული კუთხეების ჯამი?



ა) 360 ბ) 180 გ) 240 დ) 540 ე) 300

რაოდენობრივი შედარება

	A	B	
61	გვაქვს $a*b=\frac{b-a}{b+a}$ სახის ოპერაცია		(ა) (ბ) (გ) (დ)
	$2*3$	$3*2$	
62	მოცემულია a,b და c ნატურალური რიცხვებია, თანაც თითოეული 2-ზე ნაკლები და 5-ზე მეტი არაა		(ა) (ბ) (გ) (დ)
	$c-a^b$ გამოსახულების უმცირესი მნიშვნელობა	$2-5^4$	
63	$x>0$		(ა) (ბ) (გ) (დ)
	$\frac{1}{x}+\frac{1}{x}$	$\frac{1}{2x}$	
64	მათკუთხა სამკუთხედის უდიდესი კუთხის სიდიდე	ტოლფერდა სამკუთხედის უდიდესი კუთხის სიდიდე	(ა) (ბ) (გ) (დ)
65	ნიკას საშუალო სიჩქარე, თუ 8 კმ-ს 2 სთ-ში გაივლის	დათოს საშუალო სიჩქარე, თუ 5 კმ 1სთ და 30 წთ-ში გაივლის	(ა) (ბ) (გ) (დ)
66	წრეწირის ცენტრია $O(5;3)$, წერტილი $P(5;7)$ ეკუთვნის წრეწირს		(ა) (ბ) (გ) (დ)
	წრეწირის სიგრძე	8π	

ამოცანები

67. ფიგურაზე მოცემული კუბის წიბოა 3 სმ, ხოლო ჭრილის კვეთის ფართობია 1კვადრატული სმ. გამოთვალეთ მიღებული სხეულის მთლიანი ზედაპირის ფართობი



ა) 24 ბ) 42 გ) 52 დ) 66 ე) 64

68. თუ $\frac{a}{b}\cdot\frac{b}{c}\cdot\frac{c}{d}\cdot\frac{d}{e}\cdot x=1$, მაშინ $x=$

ა) $\frac{e}{a}$ ბ) $\frac{a}{e}$ გ) $\frac{be}{a}$ დ) e ე) $\frac{a^2}{e}$

69. რა თანხა უნდა გადაიხადონ 7 მეტრიანი მორის თითო მეტრიან მორებად დახერხვაში, თუ თითო გადახერხვა ღირს 5 ლარი?

ა) 20 ბ) 25 გ) 15 დ) 10 ე) 30

70. სკოლის მოსწავლეებიდან გოგონების სიმაღლეთა დიაპაზონია 56 სმ, ხოლო ვაჟების სიმაღლეთა დიაპაზონია 64 სმ. რისი ტოლი არ შეიძლება იყოს მოსწავლეების სიმაღლეთა დიაპაზონი

ა) 64 ბ) 63 გ) 65 დ) 66 ე) 60

მონაცემთა ანალიზი





71. 1967 წელს საერთაშორისო მიმოქცევის გემთა 12% იყო საფრანგეთის. რამდენი ფრანგული გემი იყო ინსპექტირებული?

ა) 700 ბ) 800 გ) 900 დ) 1200 ე) 1900

72. თუ თითოეულ გემს საშუალოდ შეუძლია 500 ტონა ტვირთის გადაზიდვა, მაშინ მიახლოებით რომელი რიცხვი აღნიშნავს 1968 წელს *A* პორტში ინსპექტირებული გემების მიერ გადაზიდულ ტვირთების რაოდენობას.

ა) 1 მილიონი ბ) 2 მილიონი გ) 4 მილიონი დ) 8 მილიონი ე) 16 მილიონი

73. 1971 და 1972 წლების განმავლობაში შიგა მიმოქცევის სატვირთო გემთა დათვალიერება გაიზარდა წინა წელთან შედარებით 30 %-ით. რამდენი შიგა მიმოქცევის სატვირთო გემი იყო მიახლოებით ინსპექტირებული 1972 წელს?

ა) 5 320 ბ) 5 490 გ) 5 600 დ) 5 720 ე) 5890

74. რამდენით მეტი შიგა მიმოქცევის სამგზავრო გემი იყო ინსპექტირებული შიგა მიმოქცევის საბუქსირო გემებთან შედარებით 1970 წელს ?

ა) 820 ბ) 855 გ) 890 დ) 910 ე) 955

ამოცანები

75. რა სიდიდის კუთხეს ქმნის საათის ისრები, თუ საათი 2 სთ და 12 წთ-ს უჩვენებს

ა) 12° ბ) 60° გ) 2° დ) 6° ე) 8°

76. მართკუთხედის ფორმის ნაკვეთს მესერი აქვს შემოვლებული. მესრის ყოველი 2 მეტრის შემდეგ ბოძი არის ჩასობილი. სულ რამდენი ბოძია მესერში, თუ ნაკვეთის ერთი გვერდი არის 80 მ, მეორე გვერდი კი 40 მ-ით მეტი?

ა) 200 ბ) 180 გ) 70 დ) 202 ე) 199

77 . მოცემული მართკუთხედის ფართობის რამდენი პროცენტია დაშტრიხული



ა) 20 ბ) 25 გ) 30 დ) $33\frac{1}{3}$ ე) 40

78. რამდენ დღეში შეასრულებს მუშა მთელ სამუშაოს, თუ ერთ დღეში ის არსულებს მთელი სამუშაოს 4%?

ა) 25 ბ) 10 გ) 15 დ) 20 ე) 26

79. რამდენს იწონის ცარიელი ბიდონი, თუ ნახევრადსავსე იწონის 30 კგ, ხოლო $\frac{1}{3}$ -ით სავსე ბიდონი - 24 კგ-ს.

ა) 14 ბ) 12 გ) 10 დ) 20 ე) 18

80. რას უდრის ალბათობა იმისა, რომ კამათლის გაგორებისას არ მოვა კენტი რიცხვი და 6-იანი.

ა) $\frac{1}{6}$ ბ) 1 გ) $\frac{2}{3}$ დ) $\frac{1}{3}$ ე) $\frac{5}{6}$